

შპს ოპტიმალ გრუპ+

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულის მოძრაობის უწყისი -----	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	7-18

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ოპტიმალ გრუპ+

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021	1/1/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,144,524	1,183,500	1,235,294
არამატერიალური აქტივები	3	1,485	1,876	884
		1,146,008	1,185,376	1,236,179
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	413,793	116,103	1,194,356
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	615,668	347,258	623,398
მარაგები	6	14,402	1,193	19,087
სხვა მიმდინარე მოთხოვნა		18,358	2,473,825	1,063,652.96
საგადასახადო აქტივი	5	0	0	12,924.72
		1,062,221	2,938,380	2,913,419
მთლიანი აქტივები		2,208,229	4,123,756	4,149,598
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,733,559	3,854,070	3,812,312
		1,733,559	3,854,070	3,812,312
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	20,382	11,416	13,108
		20,382	11,416	13,108
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	269,348	223,104	158,803
საგადასახადო ვალდებულებები		166,514	30,354	161,879
გადასახდელი პროცენტი	7	18,426	4,812	3,497
		454,288	258,270	324,178
მთლიანი ვალდებულებები		474,670	269,686	337,286
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,208,229	4,123,756	4,149,598

დირექტორი:



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ოპტიმალ გრუპ+

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	9	2,756,324	2,836,533
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,756,324	2,836,533
სხვა შემოსავლები	10	80,399	10,439
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(2,268,271)	(2,185,283)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები	12	(2,666,801)	(3,884)
საოპერაციო მოგება		(2,098,349)	657,805
ფინანსური ხარჯი	13	(22,162)	(1,933)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(22,162)	(1,933)
მოგება დაბეგვრამდე		(2,120,511)	655,873
მოგების გადასახადი		-	(92,117)
პერიოდის მოგება		(2,120,511)	563,755
სხვა სრული შემოსავალი:			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,120,511)	563,755

დირექტორი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ოპტიმალ გრუპი+

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარიში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 01 იანვარი	3,812,312	3,812,312
მოგება წლის ბოლოს	563,755	563,755
გაცემული დივიდენდი	521,998	521,998
2021 წლის 31 დეკემბერი	3,854,069	3,854,069
მოგება წლის ბოლოს	(2,120,511)	(2,120,511)
გაცემული დივიდენდი	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,733,559	1,733,559

დირექტორი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ოპტიმალ გრუპი +
ფულის მოძრაობის უწყისი 2022 წლის

(ლარიში)

	12/31/2022	12/31/2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	281,988	(582,509)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(22,048)	(495,898)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	37,464	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	297,404	(1,078,407)
სავალუტო კურსის ეფექტი	286	154
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	116,103	1,194,356
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	413,793	116,103

დირექტორი



შპს ოპტიმალ გრუპი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოპტიმალ გრუპი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 22 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404911592. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 17ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

- საინსპექტირებო,საექსპერტო,საზედამხედველო,საკონსულტაციო საქმიანობა მათ შორის ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება;
- შესრულებულ სამუშაოთა აქტების ინსპექტირება;
- ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება;
- ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება;
- საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ფინანსური ინსპექტირება;
- ნარდობის ხელშეკრულების ანალიზი და კონსულტაციები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელებია:

1. ნინა კარბელაშვილი, 01026010075 - 18%,
2. ალექსანდრე ველიჯანაშვილი, 01007005643 – 36%,
3. დიმიტრი მხეიძე, 01024015738 - 36%,
4. ზაზა კვიციანი, 01006002615 - 10%.

კომპანიის დირექტორია ნინა კარბელაშვილი.

2022 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 64 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- კომპანიაში მოხდა საბუღალტრო საქმიანობის შესწორება და კომპანიის ბუღალტერია 2017 წლის 01 იანვრიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური

რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი

იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება

მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	შენიშვნები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
01 იანვარი 2021	993,599	123,141	118,554	884	1,236,179
შემოსვლა	-	1,418	-	1,186	<u>2,605</u>
გასვლა	-	-	-	-	<u>-</u>
ცვეთა და გაუფასურება	1,327	19,323	32,562	195	<u>53,408</u>
31 დეკემბერი 2021	992,273	105,236	85,991	1,876	1,185,376
შემოსვლა	-	6,975	13,818	-	<u>20,793</u>
გასვლა	-	-	10,052	-	<u>10,052</u>
ცვეთა და გაუფასურება	1,326	18,781	29,610	391	<u>50,108</u>
31 დეკემბერი 2022	990,947	93,430	60,147	1,485	1,146,009

- ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4**ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები**

	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,910	20,150
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	410,735	95,954
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	148	0
სულ	413792.94	116103.38

შენიშვნა 5**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	613,150	343,720
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2	256
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,516	3,282
სულ	615,668	347,258

შენიშვნა 6**მარაგები**

	2022	2021
საწვავი	14,402	1,193
სულ	14,402	1,193

შენიშვნა 7**გრძელვადიანი სესხები**

2022 წლამდე გრძელვადიან სესხს წარმოადგენს თანამშრომლის მიმართ დაუფარავი სამივლინებო თანხა რომელიც არ ანაზღაურებულა და გაფორმდა როგორც სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11%-ს, სრულად დაიფარა 2022 წელს.

2022 წლიდან გრძელვადიან სესხს წარმოადგენს წინა კარბელაშვილისგან ნასესხებ თანხას. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11%-ს

შენიშვნა 8**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

	2022	2021
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	8,272	17,649
მიღებული ავანსები	118,563	84,062
გადახდილი ხელფასები	79,205	80,609
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0	221
საპენსიო გადასახადი	63,308	40,563
სულ	269,348	223,104

შენიშვნა 9**ამონაგები**

კომპანიის ამონაგები შედგება ძირითადი საქმიანობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლისგან.

შენიშვნა 10**სხვა შემოსავლები**

	2022	2021
არასაოპერაციო მოგება	46,991	10,423
კონვერტაციის შემოსავალი	3	17
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	33,405	0
სულ	80,399	10,439

შენიშვნა 11**ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი**

	2022	2021
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	457,915	383,967
ცვეთა და ამორტიზაცია	50,108	53,408
შრომის ანაზღაურება	1,507,412	1,491,956
კომუნიკაციის ხარჯები	23,421	24,384
კომუნალური ხარჯები	14,101	23,847
დაზღვევა	33,733	33,709
სამივლინებო ხარჯები	60,657	57,747
კომპიუტერის ხარჯები	466	140

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	14,921	50
სხვა საგადასახადო ხარჯი	11,817	12,269
ავტო მანქანის ხარჯი	15,637	27,566
საქველმოქმედო	495	425
საბანკო მომსახურება	1,562	2,450
სხვა საერთო ხარჯი	76,025	73,367
	2,268,271	2,185,283

შენიშვნა 12

სხვა ხარჯები

	2022	2021
არასაოპერაციო ზარალი	2,663,400	3,567
კონვერტაციის ხარჯი	3,322	317
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	79	0
	2,666,801	3,884

შენიშვნა 13

ფინანსური ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	22,162	1,933
	22,162	1,933

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს აღგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 06 ივნისს.

დირექტორი

ნინო ჯაფარიძე

